მოწვევა წინასაკვალიფიკაციო წინადადებების წარმოდგენის შესახებ

ქვეყანა: საქართველო
პროექტი: „გარემოსა და ტურიზმის გაუმჯობესების კომუნალური ინფრასტრუქტურა – იმერეთის რეგიონი“
კონტრაქტი: „წყალარინების გამწმენდი ნაგებობები (WWTPs) და ადგილობრივი მომსახურების ცენტრები (LCSs) (IM-2/Y1/3Lots)“
თარიღი: 20 მაისი, 2026
ნომერი: KfW No. 513950, ICB No. Imereti WWTPs and LCSs (IM-2/Y1/3Lots)

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ *(შემდგომში - კომპანია)* გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკისგან *(KfW)* მიიღო დაფინანსება შემდეგი პროექტის განხორციელებისთვის - „გარემოსა და ტურიზმის გაუმჯობესების კომუნალური ინფრასტრუქტურა – იმერეთის რეგიონი“ და გეგმავს აღნიშნული დაფინანსების ნაწილის გამოყენებას კონტრაქტისთვის - „წყალარინების გამწმენდი ნაგებობები (WWTPs) და ადგილობრივი მომსახურების ცენტრები (LCSs) (IM-2/Y1/3Lots).

კომპანია იწვევს დაინტერესებულ კანდიდატებს დალუქული განაცხადების წარსადგენად შემდეგი სამუშაოების განსახორციელებლად - დიზაინი, მიწოდება და მონტაჟი *(შენიშვნა: ქვემოთ მოცემული სია არ არის საბოლოო):*

ლოტი 1

ვანის წყალარინების გამწმენდი ნაგებობა

- საშუალო მშრალი ამინდის ნაკადი: 1,100 m^3/დღე
- პირველადი დამუშავება კომპაქტური წვრილი ცხაურითა და ქვიშა-ცხიმის დამჭერი კამერით
- წყლის დამუშავება: ოქსიდაციური არხი და ერთდროული დენიტრიფიკაცია
- ლამის დამუშავება: სტატიკური გასქელება და მცენარეული საშრობი მოედნები

ბაღდათის წყალარინების გამწმენდი ნაგებობა

- საშუალო მშრალი ამინდის ნაკადი: 1,150 m^3/დღე
- პირველადი დამუშავება კომპაქტური წვრილი ცხაურითა და ქვიშა-ცხიმის დამჭერი კამერით
- წყლის დამუშავება: ოქსიდაციური არხი და ერთდროული დენიტრიფიკაცია
- ლამის დამუშავება: სტატიკური გასქელება და მცენარეული საშრობი მოედნები

საირმის წყალარინების გამწმენდი ნაგებობა

- საშუალო მშრალი ამინდის ნაკადი: 200 m^3/დღე
- პირველადი დამუშავება კომპაქტური წვრილი ცხაურითა და ქვიშა-ცხიმის დამჭერი კამერით

- წყლის დამუშავება: MBBR-IFAS სისტემა
- ლამის დამუშავება: ლამის გარე გაუწყლოება

ლოტი 2

სამტრედიის წყალარინების გამწმენდი ნაგებობა

- საშუალო მშრალი ამინდის ნაკადი: 6,500 m^3/დღე
- პირველადი დამუშავება უხეში ცხაურებით, კომპაქტური წვრილი ცხაურებითა და ქვიშა-ცხიმის დამჭერი კამერებით
- წყლის დამუშავება: ერთდროული დენიტრიფიკაცია, BioP, ქიმიური ფოსფორის მოცილება
- ლამის დამუშავება: გასქელებელი, აერობული სტაბილიზაცია, მცენარეული საშრობი მოედნები (სურვილის შემთხვევაში მექანიკური გაუწყლოება + კირი ან მზის ენერგიით შრობა)

ლოტი 3

ვანის ადგილობრივი მომსახურების ცენტრი

- ახალი მომსახურების ცენტრის პროექტირება და მშენებლობა, რომელიც მოიცავს ოფისებს, შეხვედრების ოთახს, ლაბორატორიას, სახელოსნოს, საწყობს და სხვ.

ბაღდათის ადგილობრივი მომსახურების ცენტრი

- ახალი მომსახურების ცენტრის პროექტირება და მშენებლობა, რომელიც მოიცავს ოფისებს, შეხვედრების ოთახს, ლაბორატორიას, სახელოსნოს, საწყობს და სხვ.

აღნიშნული ტენდერის მიზანია ზემოაღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად კონტრაქტორების მოკლე სიის შედგენა KfW-ის დონორობით დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

ევროკავშირის სხვადასხვა სანქციის დებულების საფუძველზე (მათ შორის რეგულაცია 833/2014-ის მუხლი 5k), რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებული ან რუსული წარმოშობის მქონე პრეტენდენტები და მომწოდებლები უნდა გამოირიცხონ KfW-ის დაფინანსებით მიმდინარე შესყიდვის პროცესებიდან. აღნიშნული ვრცელდება ერთობლივი საწარმოს ყველა მონაწილეზე და თითოეულ ქვეკონტრაქტორზე.

ეს სამლოტიანი საკონტრაქტო პაკეტი განხორციელდება FIDIC Conditions of Contract for Plant and Design Build ("FIDIC Yellow Book"), 1999 წლის პირველი გამოცემის შესაბამისად, როგორც ეს ლიცენზირებულია KfW-ის მიერ; ხოლო წინასწარი კვალიფიკაცია ჩატარდება KfW-ის შესყიდვების სახელმძღვანელოს (2021 წლის იანვარი) შესაბამისად.

წინასწარი კვალიფიკაციის განაცხადები წარმოდგენილი უნდა იყოს მკაფიოდ მონიშნულ კონვერტებში და ჩაბარებული ქვემოთ მითითებულ მისამართზე, **არაუგვიანეს 2026 წლის 25 ივნისის 15:00 საათისა (საქართველოს დროით).** დაგვიანებული განაცხადები არ მიიღება.

დაინტერესებულ უფლებამოსილ განმცხადებლებს შეუძლიათ დამატებითი ინფორმაციისა და ინგლისურ ენაზე მომზადებული წინასაკვალიფიკაციო სრული დოკუმენტაციის უფასოდ მიღება წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემდეგ კომპანიის ოფისში სამუშაო საათებში ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით შემდეგ მისამართზე:

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
ვის:
ბესიკ ჯიქურაული, კომპანიის დირექტორი
მისამართი:
კომპანიის სათავო ოფისი, მე-2 სართული (კანცელარია)
ანა პოლიტკოვსკაიას ქ. 5, თბილისი, საქართველო (0186)

ელექტრონული ფოსტა:
info.procurement@water.gov.ge; e.piranishvili@water.gov.ge